



## მინაბამბა (CG)

### უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

#### 1 ნივთიერების/ნარევის იდენტიფიკაცია

##### 1.1 პროდუქციის იდენტიფიკაცია

პროდუქციის დასახელება: მინაბამბა

##### 1.2 პროდუქციის აღწერა

არაიწვადი მინერალური თბო და ხმის იზოლაცია ფილების და რულონების სახით. იკავებს მინიმალურ ადგილს შენახვისა და გადაზიდვის დროს, მოსახერხებელია და მარტივია სამონტაჟოდ. მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

##### 1.3 გამოყენების არეალი

- იატაკის ლაგებზე, გადახურვებზე ნივნივებზე;
- მოდულური კონსტრუქციები, საყოფაცხოვრებო შენობები, კარკასული კედლები.

#### 2 საფრთხის იდენტიფიკაცია

ფიზიკური საფრთხე არაკლასიფიცირებადი

ჯანმრთელობის საფრთხე არაკლასიფიცირებადი

არ შეიცავს საფრთხეს და არ მოითხოვს საფრთხის პრევენციულ ზომებს.

#### 3 პირველადი სამედიცინო დახმარება

ჩასუნთქვა/ინჰალაცია: მასალის მონტაჟის პროცესში წარმოქმნილი მტვერი შეიძლება ჩავისუნთქოთ. მტვრის ჩასუნთქვას თუ მოაქვს უარყოფითი/არასასურველი ეფექტი, აუცილებელია სუფთა ჰაერზე გასვლა. თუ მაინც არაკომფორტულად გრძნობთ თავს უნდა მიმართოთ სამედიცინო დახმარებას.

კანთან კონტაქტი: თუ მასალის მონტაჟის პროცესში წარმოქმნილმა მტვერმა კონტაქტისას გაგიღიზიანათ კანი, მტვერი ჩამოიბანეთ წყლით.

თვალთან კონტაქტი: თუ მტვრის ნაწილაკები მოგხვდათ თვალში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ წყლით. თუ მაინც გაგრძელდა დისკომფორტი მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

#### 4 ხანძრის საწინააღმდეგო ზომები

მასალა არის არაიწვადი

#### 5 შემთხვევით გავრცელების ზომები

მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.



## მინაბამბა (CG)

### უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

#### 6 დამუშავება და შენახვა

- a) შენახვის პირობები - პროდუქცია უნდა ინახებოდეს შეფუთულ მდგომარეობაში, დახურულ საწყობებში, განცალკევებით სახეობების, მარკებისა და ზომების მიხედვით. რეკომენდებული შენახვის ტემპერატურა არის  $-35^{\circ}\text{C}$ -დან  $+40^{\circ}\text{C}$ -მდე. რულონები თავსდება ვერტიკალურად, მაქსიმუმ 3 იარუსად. ზედა იარუსი შეიძლება განთავსდეს ჰორიზონტალურად. რულონების დასტის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 4,2 მეტრს. ტრანსპორტირების პაკეტებში პროდუქციის შენახვა დასაშვებია 2 იარუსად, მაქსიმუმ 6 მეტრის სიმაღლეზე. შენახვის დროს დაუშვებელია მზა პროდუქციის შეკუმშვა.

#### 7 ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები

იერსახე: მინერალური თბო- და ხმის იზოლაცია ფილების და რულონების სახით.

სუნი: N/A

#### 8 ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მასალას არ აქვს ტოქსიკოლოგიური ეფექტი; მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

#### 9 ნარჩენების განკარგვის ზომები

ნარჩენების გადამუშავება შესაძლებელია ნესმიერი გზით. მტვრის გავრცელების პრევენციისთვის უნდა მიიღოთ სპეციალური ზომები.